

სალომე გუმბერიძე

**არსებით სახელთა მიცემითი ბრუნვის
გამოხატვისათვის
ქართველ ებრაელთა მეტყველებაში**

წინამდებარე ნაშრომი ეხება ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ისეთ თავისებურებას, როგორცაა მიცემითი ბრუნვის დაბოლოება. საანალიზოდ აღებული გვაქვს როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი მასალები: 1) როზა თავდიდიშვილის მიერ 1937-1938 წლებში ქუთაისში ჩაწერილი ფოლკლორული ტექსტები (რომლის ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი დაცულია შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, ფოლკლორის არქივში); 2) როზა თავდიდიშვილის მიერ ქუთაისში ჩაწერილი ტექსტების ელექტრონული ვერსია (ქართული დიალექტური კორპუსი); 3) გიორგი ჯაფარიძის ხელმძღვანელობით რაქაში 1982 წელს მოწყობილი თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციის მასალები (ტექსტების ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი დაცულია თსუ-ს ფოლკლორის არქივში); 4) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ პროფ. ტარიელ ფუტყარაძის ხელმძღვანელობით 1998-2005 წლებში ჩაწერილი დიალექტური ტექსტები (ნაწილი გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალში „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XVIII – 2014, ტ. XX – 2016; ნაწილი ინახება ქართველური დიალექტოლოგიის მიმართულებაში).

ქართველ ებრაელთა მეტყველებას არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა პროფ. რ. ენუქაშვილმა. სტატიაში „შენიშვნები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ინტონაციის შესახებ“ ავტორი განიხილავს თანხმომავანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის დაკარგვის შემთხვევებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მიცემითი ბრუნვის -ს სუფიქსი იკარგვის ყოველგვარ ვითარებაში: ა) როცა არსებითი სახელი ქვემდებარის ან დამატების როლშია; ბ) როცა იგი გარემოების მოვალეობას ასრულებს; გ) მრავლობითის ფორმაში; დ) ნაცვალსახელთან; ე) სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის წინ (რ. ენუქაშვილი, 2011: 5).

ამავე საკითხს ეხება პროფ. თ. ლომთაძე ნაშრომში „ქუთაისური ქართული“, რომელშიც მითითებულია, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს თითქმის ყოველთვის იკარგება ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში თანხმომავანფუძიან სახელებთან, გარდა ემფატიკური ხმოვნით გავრცობის შემთხვევისა: საკმელ ჭამს; თვალეზ არ უჭერი; წყალ არ დაგალევიებს (თ. ლომთაძე, 2005: 107).

ისაკ შამელაშვილის დღემდე გამოუქვეყნებელი ნაშრომიც, რომელიც შესრულებულია 1959 წელს და ეხება ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებას, ამავე მოვლენას ადასტურებს: თანხმომავანფუძიანი საზოგადო

სახელები მიცემით ბრუნვაში (მხოლოდითა და მრავლობითში) კარგავენ -ს ალომორფს, რასაც სისტემური ხასიათი აქვს (რ. ზექალაშვილი, 2014: 78).

ჩვენ მიერ შესწავლილი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი მასალების მიხედვით იკვეთება არაერთგვაროვანი ვითარება, კერძოდ, როზა თავდიდიშვილის მიერ 1937-1938 წლებში ქუთაისში ჩაწერილ ფოლკლორულ ტექსტებსა და გიორგი ჭაფარიძის ხელმძღვანელობით რაქაში 1982 წელს მოწყობილი თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციის მასალებში ქუთაისელ და ონელ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან არსებით სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს უმეტესად იკარგება როგორც კუმშვად, ისე უკუმშველ არსებით სახელებთან. მაგ.:

როგორც უმფროს ქალიშვილ მიცა ოქროს ბურთი, უნცროსსაც ისევ ისე მიცა ხელში (www.corpora.co).

მის ცოლ ძალიან უკვირდა, სიდან გამდიდრდა ჩემი ქმარიო (ფა, №17749);

დადიან წყესად ცხვრი ჭოგ წყესობენ (თსუფა, №25155);

აასე ეგონავე ჩვენისთანა ბედნიერიო ცას ქვეშეთ ღმერთ არავინ არ ყავსო (www.corpora.co);

ჩემ გაღავან ორი კარი ააქ (www.corpora.co).

რაც შეეხება ხმოვანფუძიან არსებით სახელებს, მათთან მიცემითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია, თუმცა ჩვენს მასალებში დადასტურდა რამდენიმე საინტერესო შემთხვევა, როცა ხმოვანფუძიან არსებით სახელთან მიცემითი ბრუნვის ნიშანი არ ჩანს. მაგ.:

ერთ დიდებულ ხენწიფე სამი ქალიშვილი ყამდა (www.corpora.co);

ამ მებატე ოქროს ქოჩორი ააქ და ძალუან ლამაზიც არი (www.corpora.co).

მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა მხოლოდ ებრაელთა მეტყველებისთვის როდია ნიშანდობლივი, არამედ იგი ზოგადად დამახასიათებელია ქართული დიალექტებისთვისაც.

თანხმოვანფუძიან სახელებთან მიცემით ბრუნვაში 0 (ნული) მორფემა გვხვდება კახურ, ქართლურ, აჭარულ, ჯავახურ, ლეჩხუმურ, იმერულ... კილოებში: ას ნაბიჯზე კვერცხ-0 არტყამდა (ქართლ.), ხურჯინ-0 პირი მოხსნა (ჯავახ.); ვექსილ-0 დოუწერდენ (ზ.იმერ.); მეზობლეფ-0 ღურიგეს (რაქ.)...

ქვემოიმერულში ეს მოვლენა უფრო იშვიათია, ვიდრე ზემოიმერულში (ქ. ძოწენიძე, 1973: 20). მიუხედავად იმისა, რომ თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა არ არის დამახასიათებელი ქუთაისური მეტყველებისათვის, ჩვენი მასალების მიხედვით, ქუთაისელ და ონელ ებრაელთა მეტყველებისათვის ეს ნიშანდობრივი ჩანს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ონელ ებრაელთა შემთხვევაში ეს მოვლენა რაქული დიალექტის გავლენითაა განპირობებული, რასაც ვერ ვიტყვიტ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაზე.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება აგრეთვე ა ხმოვნით გავრცობილი მიცემითის ფორმები, ისევე როგორც ქართველურ ქვესისტემებში.

-ს-ა (გავრცობილი) ვარიანტი გვხვდება: ა) -ც ნაწილაკთან: კაც-ს-ა-ც, ქალ-ს-ა-ც... ბ) და, თუ კავშირებით შეერთებულ სახელებთან ა მავრცობი ხმოვანი, როგორც წესი. კავშირის წინ მდგომ სახელს ახლავს, მაგ.: კაც-ს-ა და ქალ-ს;

მკვლევართა ნაწილი ა ემფატიკურბმოვნიან -სა ვარიანტს მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის ალომორფად განიზილავენ (თ. უთურგაიძე, 1986: 51-52; ა. ონიანი, 1989: 153). შდრ.: არნ. ჩიქობავა, 1937: 19; ა. შანიძე, 1973: 48.

-ს/-ს-ა თავისუფლად მონაცვლეობს თანხმოვნით დაწყებული ფუძის მქონე ზმნების წინ მდგომი სახელის ფორმებში: დაკარგულ ბედს ტირის / დაკარგულ ბედსა ტირის... (თ. უთურგაიძე, 1986: 33).

ჩვენი მასალების მიხედვითაც, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში -ს-ა (გავრცობილი) ვარიანტი გამოიყენება -ც ნაწილაკთან და მის გარეშეც, აგრეთვე და, თუ კავშირებთან და სხვათა სიტყვის ო-სთან. მაგ.:

ხენწიფე მიაღვა გალავანსა (www.corpora.co);

ბატონო შელომ, ფული გვირჩევენიავე, მოგვეციოთ და ჩვენ-ჩვენ ოჯახსა და ცოლ-შვილ დაუბრუნდებით (ფა. №17749);

როგორც უმფროს ქალიშვილ მაცა ოქროს ბურთი, უნცროსსაც ისევ ისე მიცა ხელში (www.corpora.co);

ნეტაო ვიცოდევო, რა შევცოდე გამჩენსაო, რომ არ დამამაღლიანაო. სამოძიროზედაო (www.corpora.co);

ჩვენ დაგვიტევენბსეო ხენწიფე სიმავერიო თავის არიშ-ვეერიშსაო და ტახტსაცაო (www.corpora.co).

როგორც კვლევამ აჩვენა, ძველი და ახალი მასალების შედარებისას, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან სახელებთან, როგორც საზოგადო, ისე საკუთართან, დასტურდება როგორც ნიშნიანი, ისე უნიშნო მიცემითის ფორმები:

რამდენ ხელფას, აღარ მახსოვს... პენსიასავით იღებდა (ტექსტები, 2014: 221);

რახელ არ ეყოლა შვილი (თსუფა, №25155);

უთხრეს იეკუთიფელ ალალი, მიყარეს მიწა და ჯამაათი თავის გზას გაუღდა (ხალხური სიტყვიერება, 2014: 133).

გერმანიამ მიწის ქვეშ ქარხნები ააშენა და ტყვია-წამალს და ტანკეფს და ამისთანა ამბეფს, რაც მ-შინ ტყენიკა შეიძლებოდა, უახლესი ქონდა (ტექსტები, 2014: 217);

ძმარს მივცემ, პიმპილს, მარილს და უცხო სუნელს... (იქვე: 226);

გონერს დიდი მადლობა გადაუხადა (ხალხური სიტყვიერება, 2014: 89).

საანალიზო ტექსტებში თანხმოვანფუძიან სახელებთან -ს ალომორფის ნაცვლად მიცემით ბრუნვაში ზოგჯერ დასტურდება -ც:

მადლობა ღმერც, რო გადაერჩით (ტექსტები, 2014: 219);

აბა, რა კაცო! თუ მეორე დღეს არა, შაბათც გადმევიდოდნენ (იქვე: 244);

ქორწილი ახლა ვიცით ჩვენ სამშაბაც და ქალმა იცის სამშაბაც (იქვე: 237).

მიცემითი ბრუნვის ნიშნის -ს > -ც ცვლილება გვხვდება მეგრულში, გურულში, აჭარულში. „მიცემითის ს სპირანტის აფრიკატიზაცია მეგრულსა და გურულ-აჭარულში პოზიციურ-კამბინატორული ხასიათისაა: ის ხდება ხშულთა მომდევნოდ. უშუალო კონტაქტის შემთხვევაში, და ხშულის გავლენით“ (ა. ლომთაძე, 1987: 22).

როგორც ჩანს, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანდათან შეიმჩნევა თანხმოვანფუძიან სახელებში მიცემითი ბრუნვის გაფორმების ტენდენცია.

ჩვენ მიერ გააანალიზებული ძველი და ახალი მასალების შედარების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ერთდროულად თანაარსებობს მიცემითი ბრუნვის ნიშნიანი და უნიშნო ფორმები. თუმცა ბოლოდროინდელ მასალებში თანხმოვანფუძიან არსებით სახელებში შეიმჩნევა მიცემითი ბრუნვის -ს ალომორფით გაფორმების ტენდენცია, რაც ქართული სალიტერატურო ენის გავლენაზე უნდა მეტყველებდეს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- რ. ენუქაშვილი, 2011** – რ. ენუქაშვილი, შენიშვნები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ინტონაციის შესახებ, „ბილინგვური განათლება“, 2011, №5.
- რ. ზექალაშვილი, 2014** – რ. ზექალაშვილი, უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის „წელიწდეული“, VI, ქუთაისი, 2014.
- თსუფა** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივის მასალები.
- ა. ლომთაძე, 2005** – ა. ლომთაძე, სახელთა ბრუნების ისტორისათვის მეგრულში, თბ., 1987.
- თ. ლომთაძე, 2005** – თ. ლომთაძე, ქუთაისური ქართული, ქუთაისი, 2005.
- ა. ონიანი, 1989** – ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.
- ტექსტები, 2014** – ქართველური დიალექტური ტექსტები, ქართველ ებრაელთა მეტყველება: ქართველური მემკვიდრეობა, XVIII, ქუთაისი, 2014.
- ტექსტები, 2016** – ქართველური დიალექტური ტექსტები, ქართველ ებრაელთა მეტყველება: ქართველური მემკვიდრეობა, XIX, ქუთაისი, 2016.
- თ. უთურგაიძე, 1986** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.
- ფა** - შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივის მასალები.
- ქართული დიალექტური კორპუსი**, www.corpora.co.
- ა. შანიძე, 1973** – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
- არნ. ჩიქობავა, 1937** – არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, I, 1937.
- ქ. ძოწენიძე, 1973** – ქ. ძოწენიძე, ზემოიშვრული კილოკავი, თბ., 1973.
- ხალხური სიტყვიერება, 2014** – ქართველ ებრაელთა ხალხური სიტყვიერება, თბ., 2014.

SALOME GUMBERIDZE**ON THE USE OF DATIVE CASE IN THE SPEECH
OF THE GEORGIAN JEWS**

The proposed article is dealing with the specificities of use of the dative case in the speech of the Georgian Jews. Our research is based on both published and unpublished materials. The examination of the above-mentioned materials has revealed the lack of *homogeneity*: namely, the folkloric texts recorded by Rosa Tavdidishvili in Kutaisi during 1937-1938 and the materials of the 1982 expedition carried out under the supervision of Giorgi Japaridze of the Department of Folklore Studies (Tbilisi State University) have revealed that the speech of Kutaisi and Oni Jews mainly features the disappearance of the dative case marker *-s* in *consonant-stem* nouns, while in *vowel-stem* nouns the very case marker is preserved.

In certain cases, the dative case marker does not occur in *vowel-stem* nouns in the aforementioned materials. The texts recorded by the *Institute of Kartvelian Dialectology* of Akaki Tsereteli State University in 2005 are of particular interest. These texts witness that, except for rare cases, the dative case morpheme is preserved in *consonant-stem* nouns.

The comparison of old and new data reveals that the dative case forms both with and without case marker are simultaneously attested in the speech of the Georgian Jews. However, the recent materials show that *consonant-stem* nouns tend to apply the dative case suffix *-s* which, apparently, demonstrates the influence of the Georgian literary language.